

ენობრივი ეთიკის გამოხატვის საკითხისათვის
ფერეიდნულ დიალექტში
THE ISSUE OF EXPRESSION
OF LINGUISTIC ETHICS I
N THE FEREYDANIAN DIALECT

თამარ ნინიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tamar Ninidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The Fereydanian dialect, which is part of the unified Georgian world, is now disconnected from its linguistic and cultural area and is located in a foreign country. In scholarly literature, it is recognized as a “Linguistic Island.” As noted by Arnold Chikobava, the Georgian language serves as the sole link between the Fereydanian Georgians and Georgian culture. And the culture is expressed, first of all, by those language units that have a euphemistic/politeness load. In this aspect, several interesting cases can be identified in the Fereydanian dialect, namely: 1. In the Fereydanian dialect, Batono (Sir!) and Kalbatono (Madam!) are later forms. Under the influence of the Georgian literary language, the mentioned forms of address in the Fereydanian dialect are gaining ground today.

2. Verb forms vary depending on the addressee. The use of the verb forms ‘mokvdoma’ (dying) and ‘chakvdoma’ (dying) is conditioned by linguistic ethics in the Fereydanian texts. Here, the prepositions mo- and cha- serve the function of semantic differentiation.

3. In the Fereydanian dialect, they avoid using some verbs that have negative connotations in other contexts (e.g., ‘mogeba’).

4. Similar to other dialects, some nouns are tabooed. For example, snake: ‘tsuravi’ (‘swimming’) - snake (‘swimming’ itself is replaced by a loanword – ‘malavnoba’. ‘mtsuravi’ – ‘malavni’).

The article presents the analysis of these and other forms influenced by linguistic etiquette in Fereydanian in relation to literary Georgian and other dialects.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, ენობრივი ეტიკეტი, ქართული ენის ლექსიკა.

Keywords: Fereydanian Dialect of the Georgian Language, linguistic etiquette, vocabulary of the Georgian language.

შესავალი

ფერეიდნული დიალექტი – ერთიანი ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი – ისტორიული ვითარების გამო დღეს გამიჯნულია საკუთარი ენობრივი და კულტურული სივრცისგან და საქართველოს საზღვრებს აღარ ეკუთვნის. სწორედ ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი „ენობრივი/დიალექტური კუნძულის“ სახელით არის ცნობილი. ფერეიდნული დიალექტი მოწყვეტილია ქართულ სალიტერატურო ენას და ვითარდება ირანის მხარეში, ფერეიდანში. ამ რეგიონს ფერეიდნად XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოიხსენიებენ და ეს ტერმინი დღემდე ასეა დამკვიდრებული. თუმცა ისტორიულად **ფერეიდანს ფერიას უწოდებდნენ. ამას ადასტურებს ლადო აღნიაშვილიც, პირველი ქართველი, რომელმაც იმოგზაურა სპარსეთში ფერეიდნელთა მონახულების მიზნით** 1894 წელს: „მთელ ამ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს და ზოგნი ფერიასაც...“ (აღნიაშვილი 1896: 188). მე-18 საუკუნისთვის ცოცხალი ტოპონიმი **ფერია** მე-19 საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში იკარგება და ადგილს უთმობს **ფერეიდანს** (ბაკურაძე... 2020: 697).

ლინგვისტიკაში სპეციფიკური მიმართულება – კუნძულური დიალექტოლოგია – მას შემდგომ გაჩნდა, რაც მე-19 საუკუნის შუა წლებში გამოიყენეს ტერმინი „დიალექტური კუნძული“, რაც გულისხმობდა გერმანული კოლონიების მეტყველებას. მეტაფორა „ენობრივი კუნძული“ ან კუნძულური დიალექტი გამოხატავს ენის (დიალექტის) გავრცელების მარგინალურ უბანს, რომელიც გამოყოფილია თავისი ბირთვული არეალიდან სახელმწიფო (ტერიტორიულ-პოლიტიკური) საზღვრით და მოქცეულია სხვა, უცხოენოვანი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებში“ (ბაკურაძე... 2020: 205-206).

სამეცნიერო ლიტერატურაში ასახელებენ „კუნძულის“ საკვალიფიკაციო ნიშნებს: 1. მოწყვეტილია საკუთარ ენობრივ და კულტურულ სივრცეს და გამიჯნულია მისგან პოლიტიკური საზღვრით; 2. იმყოფება უცხოენოვან გარემოცვაში და შემოსაზღვრულია პოლიტიკური საზღვრით (იქვე: 206).

სწორედ ასეთი ენობრივი კუნძულია **ფერეიდნული დიალექტი**, რომლის შესახებაც არნოლდ ჩიქობავა წერდა: „ქართული ენა ერთადერთი მაფია, რომელიც ფერეიდნელ ქართველობას აკავშირებს ქართულ კულტურასთან. გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება იმისა, რომ „გურჯია“, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას. ვერ უშველის ამ მხრივ ვერც მაღალი ქართული ურემი, ვერც ბანიანი სახლი, რომელიც მას დღემდე შერჩენია“ (ჩიქობავა 1927: 197).

მეთოდოლოგია

მასალის განხილვისას გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი ანალიზის მეთოდი; სოციალურ-კონტექსტუალური ანალიზის მეთოდითა და შედარებითი ანალიზის გზით დაზუსტებულია დიალექტურ ფორმათა შორის მსგავსება თუ განსხვავება.

მსჯელობა

ფერეიდნელთა კავშირი ქართულ კულტურასთან იმ ენობრივი ერთეულებითაც გამოიხატება, რომელსაც ევფემისტური/თავაზიანობის დატვირთვა აქვს. ამ ასპექტით ფერეიდნულ დიალექტში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე საინტერესო შემთხვევა, რომელთაგან პირველ რიგში შევხებით მიმართვის ფორმებს. მასალას ვიმოწმებთ წიგნებიდან: ფერეიდნული ქრონიკები, 2020; ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, 2020; ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი (სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტ.), ასევე, ვიყენებთ დიალექტურ კორპუსში (ქდკ - corpora.co) არსებულ მასალას.

1. ფერეიდნულ დიალექტში ენობრივი ეთიკის გამოხატვის კუთხით საინტერესოა ფორმები „ბატონო“ და „ქალბატონო“, თუმცა ისინი გვიანდელია. „როგორც არ იხსენება **ბატონი**, აგრეთვე არ იხსენება **ბიჭო**, ყველას მხოლოდ კუთვნილ სახელს ეძახიან, რადგან ყველა თანასწორად თვლიან ერთმანეთსა“ (ბაკურაძე... 2020: 32). ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა აქვს; ეს ფორმები სალიტერატურო ქართულში მოგვიანებით არის გაჩენილი, როცა მას ფერეიდნულთან კავშირი უკვე დაკარგული ჰქონდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სალიტერატურო ენის გავლენით ფერეიდნულ დიალექტში მიმართვის აღნიშნული ფორმები დღეს ფეხს იკიდებს. მაგალითად:

„ჯერ უნდა თქვენთვის ადგილი ვიფიქროთ, ყველაფერი მოგიმზადოთ და მერე *ბატონი ბძანდებით-მეთქი*“ (ბაკურაძე... 2020: 94).

„ერთ დღეს წაველ *ბატონ* გერგერის ხანთან... (იქვე: 107).

„...სეიფოლა ხანმაც რო მოიდა, პირველად ქართულად გასხნა და *ბატონო* ჰოსეინამ თქო, რო დაარაკუნიაწყეო“... (ქდკ, ჰეიდარ დარჩიაშვილი).

მიმართვის ფორმებთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა ფერეიდნული ქართველების წერილები, რომლებიც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული. ისინი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ლიტერატურის მუზეუმში. წერილები იწყება ეთიკეტური მიმართვის ფორმებით, გვხვდება ზმნური ევფემიზმებიც:

„*დიდათ პატივცემულო ბატონო* ამბაკო გაგიმარჯოს ღმერთმა ახლა მამიკითხე

ჩემი და სარა დიდი პატიოსნობითა. იმისუკან ექ რო *ბრძანდებოდით* ქენ ამბავი არ გაგიგონია და მენატრება ქენი ამბავის გაგება... რავექნათ რომ ჩონ უსწავლელობა ეგეთია და უნდა *გვაპატიოთ* (ბაკურაძე... 2020: 38).

„*პატივცემულო* ამბაკო და *ქალბატონო* სარა“ (სეფიოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი) (იქვე: 281).

„ჩემსალამი შენა *დიდათ პატივცემულო ბატონო* ამბაკო (იქვე: 139).

„*პატივცემულო* ძმავ ივანო“ (სეფიოლა იოსელიანის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი, 1977 წ.) (იქვე: 279);

„*პატივცემულო ძმაო ამბაკო გამარჯვებათ თქვენო ოჯახობით*“ (სეფიოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი IV) (იქვე: 283);

ეთიკეტური ფორმები გვხვდება ყოფით ტექსტებშიც:

მაპატიეთ, იონჯას ხო ვთიბავთ, არა? [ქდვ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ისიო ყეენტანაცლაო მუხას არა ძჰამსო – რკო, **ბოდიში** – ყეენტანაცლაო რკოს აღარა ძჰამსო [ქდვ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)].

ერთიც არი მოსტანადია, **ქალბატონო**, ჩემ, ჩონ ბაუშსა, ჩემ ბიჰსა გოოკეთებია [ქდვ, ჰამიდ რეზა ასლანი].

– **ბატონო**, შენ ჯოხი გინდა თუ ქუა? – მე ჯოხი [ქდვ, აბოლყასემ აჰმადი].

„ეს მეორე წერილია რომ **თქვენ** წერილის შამდექ **გიწერ** და **ბატონ** ამბაკოს წერილთან ვგზავნი (იქვე).

„ბატონოს“ პარალელურად დასტურდება „პატრონო“:

– მართალია, მართალია, **პატრონო**? ასე მალე მიდიხართ? (ბაკურამე... 2020: 139).

როცა ვსაუბრობთ მიმართვის თავაზიან ფორმებზე, უნდა აღინიშნოს ლექსიკური ერთეული **ბეჭარმაით**, რომელიც სპარსულის გავლენით ფერეიდნულ მეტყველებაში დამკვიდრებული **ზრდილობიანი შეთავაზების ან მოზოდიშების ფორმა** (ქდვ - ფერეიდნული სალექსიკონო მასალა – თედორე უთურგაიძე, დარეჯან ჩხუბიანაშვილი, ჯემშიდ გიუნაშვილი):

ბეჭარმაით (ბეფარმა, ბეფარმაიდ) - befarmāyid (სპარსული) **ზრდილობიანი შეთავაზების ან მოზოდიშების ფორმა** /ინებეთ, მოზრძანდით, მიირთვით, უკაცრავად.../. მაგალითად:

„სადილი რო შაიქნა, რო პური მოოტანესყე, თქეს **ბეჭარმაითო**, პური ჭამეთო“; „დაშქესნელი იტყის ჭამეცით, **ბეჭარმაით** ჭამეცით, ჩონ ვიტყით **ბეჭარმაიდ** შეჭამეთ“ (corpora.co)

„სალამათი, ხოშე, ხუბი, სალამათი. ხო, **ბეფარმაით**“ (საიდ მულიანი, ჩაწერის ადგილი: ჩუღრუთი / ფერეიდანი / ფერეიდანი / ირანი (corpora.co).

2. ენობრივი ეთიკით შეპირობებული ზმნური ფორმები განსხვავებულია ადრესატის მიხედვით. ფერეიდნულ ტექსტებში სტილისტიკურად განსხვავებულ „მოკვდომა“ და „ჩაკვდომა“ ზმნურ ფორმათა გამოყენება შეინიშნება. აქ მო- და ჩა- ზმნისწინებს სემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია აქვთ, რასაც ნათლად ადასტურებს კონტექსტი: „ჩვენებურს ქართველთ სპარსეთის ყეინები ძრიელ სძულთ... ყეინებს თურმე ყოველთვის **ჩაკვდომით** იტყვიან, და არა **სიკვდილით**“ (ბაკურამე... 2020: 108).

ასევე უარყოფითი დატვირთვა აქვს ზმნას „**ჩაფუჭდა**“:

„ერთი **ჩაფუჭდა** ას ორმაცდაათი წელი ექნებოდა ეხლა“ (გადმოცემები, ქართული გვარები, ზღაპარი; ენა / დიალექტი: ფერეიდნული / ქართული; ჩაწერის ადგილი: ნაჯაფაბადი / ირანი; მთქმელები: ესკანდერ (ალექსანდრე) სეფიანი (სეფიაშვილი).

გარდაცვალება: გადიცვალა! [ალიჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)] (ბაკურამე... 2020: 760).

ჩაფუჭდა, ცხონდა/გადიცვალა ფორმებს ერთი მნიშვნელობა აქვთ, სტილისტიკურად განსხვავებული. პირველი უარყოფითი სემანტიკის მატარებელია, **ცხონდა/გადიცვალა** კი - ევფემისტური.

„ცხოვრებულ ჰაიდარა ცხონდა არა? ამბერმანათი. [აქბარ ასლანი] – ჰა, შარშან ცხონდა“ (corpora.co).

ფერეიდნულ დიალექტში ერიდებიან ზოგიერთი ისეთი ენობრივი ერთეულის გამოყენებას, რომელსაც სხვა კონტექსტში შეიძლება უარყოფითი დატვირთვა ჰქონდეს. ასეთია, მაგალითად, ზმნური ფორმა „მოგება“, რომელიც გამოიყენება მაშინ, როდესაც პირუტყვი ნაშიერს გააჩენს. ამიტომ ფერეიდნელები არ იტყვიან „მოვიგე“ ფორმას „გავიმარჯვეს“ მნიშვნელობით. ასეთივე სემანტიკა აქვს ამ სიტყვას, მაგალითად, იმერულში, თუმცა აქ, ფერეიდნულისაგან განსხვავებით, ორივე კონტექსტში თავისუფლად გამოიყენება.

3. ცალკეულ და გამოიყოს ფერეიდნულ დიალექტში ტაბუს საფუძველზე გაჩენილი **ეფემიზმები**. სხვა დიალექტების მსგავსად, ფერეიდნულში ტაბუირებულია ზოგიერთი არსებითი სახელი, რომელთაგან საინტერესოა, მაგალითად, გველი: „**ცურავი** – გველი (თავად ცურაობა ჩანაცვლებულია ნასესხობით – მალავნობა. მცურავი – მალავნი) (ბერიძე... 2020: 758). ეს არის ლექსემის გამოყენების არის დავიწროების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი.

„ემამ დაიწვირტიალა და ერთი რაგდიდე **ცურავი ყელსაყე ამოაგდო**“ [ქდკ, ჰაიათ იოსელიანი].

„მაითხოვა თქო: მე არც **მალავნიაო, მალავნი** იცი, რა არი? რომელიც წყალზე **ცურავ** იცისო. ჩონ ვიტყითყე, მალავნობა იციო? [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)] (ბერიძე... 2020: 758).

მე გამოგვითხე, მეთქი რა იყო? თქოყე: ჩონ ერთ დიდ **მცურავი** [ქდკ, აბოლყასემ აჰმადი]. (იქვე: 639).

მსგავსი ფორმები გვხვდება ქართლურში, კახურში, ფშაურში, რაჭულში:

„არც **მცურავ** შერჩება იმ ჩიტის დაჭერაიო, უთხრა ხენწიფემ“ (ქართლური, ჩაწერის ადგილი: არადეთი / ქარელი / ზემო ქართლი; მთქმელები: სოლომონ ტიტვინიძე, გაბო ხუმარაძე).

„**მცურავის** ხმამ შეგაშინა“... (შელოცვები, ქართლური, ჩაწერის ადგილი: იკოთი / ახალგორი / ზემო ქართლი; მთქმელი: სონა მაწიაშვილი);

„გულო, რამ შაგაშინაო, შინაურმა შაგაშინაუა, კარულმაუა, ცის **მცურავმაუა** მიწის მგელმაუა?“ (შელოცვები, ფშაური, ჩაწერის ადგილი: საბუდარანი / დუშეთი / მცხეთა-მთიანეთი; მთქმელები: სალომე გოგოლაური (თორღვათ სალომე).

„ვესროლო **მცურავსა** გავაფრთხობინო სულიო“ (რივნისთაური / რაჭული, ჩაწერის ადგილი: ღები / ონი / რაჭა-ლეჩხუმი; მთქმელი: შიო გუტუშვილი).

„დაინახა **მცურავმა** ხომატი, დაძხედა ზედ, მეეწონა კარგი ვაშკაცი და ლოკვა დაუწყო დაჭრილებს“ (ხომატი და ამბრი, დიალექტი: კახური, ჩაწერის ადგილი: ყვარელი / კახეთი; მთქმელი: სანდრო ჭიბოშვილი).

ფერეიდნულის კორპუსულ ლექსიკონში გვხვდება **მცურავის სასთოული**, რომელიც ახსნილია, როგორც ერთგვარი მატლი, ჰგავს აბრეშუმის მატლს. „**მცურავის სასთოული** მატლი არი ეგდიდე (ბაკურაძე... 2018: 215).

ფერეიდნულში, ისევე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, ხშირია **სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება**: მაგალითად, **ჭურჭელი** აქ კოკაზე პატარა, კონკრეტული სახეობის წყლის ჭურჭელია:

„ტალახით კეთდების, ჯერ კოკა არი, მერე ჭურჭელი, წყალს ჩაასხმენ [მუხტარ ასლანი (დარჩაიშვილი)].

ჩონ კაცმა წაიდეს, უნდოდისყე, რო ერთ რა ჭურჭელი აუსოს და წყალი წაიღოს [ქდკ, მუხტარ ასლანი (დარჩაიშვილი)].

ეს ლექსიკური ერთეული ქართულში ევფემისტური დატვირთვითაც გამოიყენება:

ჭურჭელი (ჭურჭლისა) 1. საერთო სახელი ღრუ ნივთებისა (ქვაბისა, ჯამისა, ჭიქისა, კოკისა...), რომელშიც სასმელ-საჭმელს ათავსებენ. მოჭიქული ჭურჭელი. – ალუმინის ჭურჭელი. – ჭურჭლის ალაგება. – [თაროზე] ჩამომწკრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა (ილია). 2. ევფემ. იგივეა, რაც კუბო (მნიშვ. 1).

როგორც ბ. ჯორნებაძე მიუთითებს, „**კუბო**“ ნიშნავდა ტახტრევანს, ევფემისტურად – მიცვალებულის ჩასასვენებელ ყუთს. ახლა იგი აღარ გაიგება როგორც ევფემისტური და მას სულ უფრო დაჟინებით ცვლის სიტყვა „ჭურჭელი“ (ჯორნებაძე 1997: 14).

დასკვნა

მას შემდეგ, რაც თანამედროვე პირობებში უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდა ფერეიდნულ ქართველებთან, მათ მეტყველებაშიც დაიწყო ნაკლები ლექსიკური სივრცის შევსება. ფერეიდნულში მკვიდრდება ქართული სალიტერატურო ფორმები. ძირითადად ეს ეხება ყოფით ლექსიკას, მისალმებისა და მობოდიშების ფორმულებს, თავაზიანობის ნორმების დაცვას. დღეს ქართული სალიტერატურო ენიდან ახლადმესულ სიტყვებზე შეიძლება ჩავთვალოთ მისალმებისა და დამშვიდობების, მიმართვის ფორმები (მათ შორის, ეთიკით შეპირობებულიც): გამარჯობა, ნახვამდის, უკაცრავად, ქალბატონო, ბატონო... ეს პროცესი ნათლად ადასტურებს იმას, რომ ფერეიდნული დიალექტი ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის განუყოფელი და მძლავრი შენაკადია, გამორჩეული თავისი მრავალფეროვნებითა და მონოლითურობით.

დამოწმებული ლიტერატურა

აღნიშვნილი 1896: აღნიშვნილი ლ., წერილები სპარსეთიდან. მოამბე, №2-8, 1896.

ბაკურაძე... 2020: ბაკურაძე ლ., ბერიძე მ., ნახუცრიშვილი ნ., ნაპირელი ე., ბარიხაშვილი ე., ფერეიდნული ქრონიკები პრესისა და არქივის მასალები ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ. თბილისი, 2020.

ბერიძე... 2018: ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ნახუცრიშვილი ნ., ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი. თბილისი, 2018.

ბერიძე... 2020: ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. თბილისი, 2020.

ჩიქობავა 1927: ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №7, ტფილისი, 1927.

ქდკ: ქართული დიალექტური კორპუსი (corpora.co).

GNC: ქართული ენის ეროვნული კორპუსი (<http://gnc.gov.ge/gnc/pag>).